



## ახალი ამბები 2-5

### გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია იმართის რაიონში იმყოფება

- ოთარ შამუგია, იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორ დავით ნითლიძესთან ერთად, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გოჩა ჯიხაში კომპანიის „აგროველი“ მოცვის ბაღში მოსავლის აღების პროცესს გაეცნო
- ოთარ შამუგია: „ნელს ველოდებით კარგ მოსავალს ყველა ძირითად კულტურაში, რასაც ვანარმოებთ“




- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტყიბულში ჩაის გადამამუშავებელი საწარმო დაათვალიერა
- ქუთაისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ახალი ოფისი გაიხსნა



- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია საქართველოს თევზმომწეხებელთა ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა
- საძოვრების მართვის შესახებ კანონპროექტის განხილვა გაიმართა
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თევზბი ნასარიძე: „ველოდებით წარმატებულ ალოობას“
- საქართველომ აზიის, ევროპისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივის მე-10 რეგიონულ დიალოგს უმასპინძლა

## მწვანე ჯილდო 2024 6

### კონკურსის „მწვანე ჯილდო 2024“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ



## წარმატების ისტორიები 7

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ევროპის რეგიონული კომისიის ვიცეპრეზიდენტად მეორედ აირჩიეს

### ბაიყანით მესხიერი

**ჯაბა აბაიშვილი**  
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეთვალყურის და მულტიმედიის კვლევის სამსახურის მთავარი საუბრალო



სოფელ იყალთოში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს



გურჯაანში ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის გამანაწილებელი არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს




მსოფლიო ბანკი პოზიტიურად აფასებს საქართველოში მელიორაციის მიმართულ განხორციელებულ რეფორმებს

## ქართული ღვინო 8-9

### ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენა WINEXPO GEORGIA 2024



ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენის WinExpo Georgia 2024 ფარგლებში, ღვინის მე-14 საერთაშორისო კონკურსის International Wine Competition გამარჯვებულები გამოვლინდნენ



რას წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში ალადასტურის სახელით გავრცელებული ვაზის ჯიბი

- ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა
- ქართული ღვინო გამოფენაზე London Wine Fair




ბრიუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა

## საერთაშორისო გამოფენები 10-11



ამსტერდამში გაიმართულ საერთაშორისო გამოფენაზე WORLD OF PRIVATE LABEL INTERNATIONAL TRADE SHOW ქართული სტანდი ჰირველად იყო წარმოდგენილი




ბაჰოში, გამოფენაზე „CASPIAN AGRO 2024“ საქართველოდან მენარეხებმა საკუთარი პროდუქტის წარდგენა

## ახალი ამბები 12

ზაფხული, ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკუთრებით ხანძარსაშიში პერიოდია



2024 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, აფლეთისნიტ დაბინძურებული ცხოველის საკვების გამოყენება იკრძალება



საქართველოდან აზერბაიჯანში ცხვრის ექსპორტი აქტიურ ფაზაში მათის ბოლოდან შევიდა

თელავის მუნიციპალიტეტში ინვესტირებულ, კერძო საკუთრებაში მოქცეულ ექვს მიწის ნაკვეთს ქარსაფარი ზოლის სტატუსი მიენიჭება



## გარემოს დაცვა 13

გამონაბოლქვის დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობაზე, 9 თვეში, 5738 სამართალდარღვევა გამოვლინდა



## სასარგებლო რჩევა 14

## შხამიანი სარავველა მცენარეები

## საჭირო ინფორმაცია 15



## ბიომრავალფეროვნება 16

## საქართველოს ბიომრავალფეროვნება





# გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია იმერეთის რეგიონში იმყოფებოდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორ დავით ნითლიძესთან ერთად, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გოჩა ჯიხაიში კომპანიის „აგროველი“ მოცვის ბაღში მოსავლის აღების პროცესს გაეცნო.



„ვაგრძელებთ რეგიონებში ფერმერებთან შეხვედრებს. ვისმენთ ფერმერების საჭიროებებსა და მოსაზრებებს, ვეცნობით მიმდინარე პროცესს. ახლა მოცვის მოსავლის აღებისა და რეალიზაციის აქტიური სეზონია. წელს ველოდებით მოცვის წარმოების და ექსპორტის გაორმაგებულ მაჩვენებელს, რაც ნიშნავს დაახლოებით 100-120 მლნ ლარის შემოსავალს ექსპორტიდან ჩვენი ფერმერებისა და მეწარმეებისთვის. მომავალ წლებში ეს მაჩვენებლები მზარდი იქნება. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად გვერდში დავუდგეთ

ფერმერებს“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

შპს „აგროველის“ დამფუძნებლის ირაკლი ფირცხალაიშვილის განცხადებით, სახელმწიფო პროგრამების არსებობა მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო იმისათვის, რომ მათი საქმიანობა განვითარებულიყო. შპს „აგროველი“ 32 ჰექტარზე გაშენებულ მოცვის პლანტაციას ფლობს; კომპანია 2024 წლის სეზონზე 120-130 ტონა მოსავალს ელოდება. აქტიურად მიმდინარე კრეფის პროცესის პარალელურად, მოცივი ექსპორტზე გადის სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში. მათ მიერ, ამ ეტაპზე, უკვე განხორციელებულია 55 ტონა მოცვის ექსპორტი. პლანტაციაში მუდმივად 20,

სეზონურად კი, 300 დასაქმებულია.

კომპანია სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების „დანერგე მომავალი“ და „ტექნიკური დახმარების პროგრამა“ და ასევე, პროექტის „შელავა-თიანი აგროკრედიტი“ ბენეფიციარია.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, ლურჯი მოცვის გაშენების მიზნობრიობით გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტი 162 მლნ ლარს აღემატება, სადაც სესხის პროცენტის სუბსიდირებას სოფლის განვითარების სააგენტო 29 მლნ ლარის ოდენობით ახორციელებს. მათ შორის, იმერეთის რეგიონში ლურჯი

მოცვის გაშენების მიზნობრიობით გაცემულია 22 მლნ ლარზე მეტი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 4 მლნ ლარს აღემატება.

საქართველოს მასშტაბით, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, 50,4 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 2,864 ჰექტარზე მოცვის გაშენება. მათ შორის, იმერეთის რეგიონში 581 ჰექტარზე ლურჯი მოცვის გაშენება თანადაფინანსებულია 10,4 მლნ ლარით.

## ოთარ შამუგია: „წელს ველოდებით კარგ მოსავალს ყველა ძირითად კულტურაში, რასაც ვანარმოებთ“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორ დავით ნითლიძესთან ერთად, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვანში იმყოფებოდა, სადაც კომპანიის „ქართული დაფნა“ გადამამუშავებელ საწარმოში სამუშაო პროცესს გაეცნო.

„დაფნის გაშენებაზე მზარდია მოთხოვნა, რადგან გაზრდილია მოთხოვნა ექსპორტის მიმართულებით. მიმდინარე წელს, 5 თვის განმავლობაში, უკვე განხორციელებულია 20 მლნ აშშ დოლარის ექსპორტი, რაც რეკორდული მაჩვენებელია; ექსპორტის დიდი წილი ჩინეთის ბაზარზე მოდის. მთლიანობაში, წელს ველოდებით კარგ მოსავალს, ფაქტობრივად, ყველა ძირითად კულტურაში, რასაც ვანარმოებთ. ვფიქრობ, წარმატებული წელი გვექნება; რა თქმა უნდა, ჩვენ ფერმერების გვერდით ვართ“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.



როგორც იმერეთის მხარის რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ აღნიშნა, სოფლის მეურნეობის მიმართულებით ბევრ წარმატებულ საწარმოსა და მეურნეობას შეუწყო ხელი სახელმწიფო პროგრამებმა დაფინანსების კუთხით.

კომპანია „ქართული დაფნა“ სოფლის განვითარების სააგენტოს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს გრანტი 570,000 ლარის ოდენობით.

საწარმოში 35 ადამიანი დასაქმებული. სეზონურად დაახლოებით 200 ტონა მშრალი დაფნა მზადდება. კომპანია პროდუქციის ექსპორტს ჩინეთში ახორციელებს.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, დაფნის გადამამუშავების მიზნობრიობით გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტი 6 მლნ ლარს აღემატება,

სესხის პროცენტის სუბსიდირებას სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 126 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 269 საწარმოს შექმნა.





**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტყიბულში ჩაის გადამმუშავებელი საწარმო დაათვალიერა**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, იმერეთის მხარის რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორ დავით ნითლიძესთან ერთად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედუბანში კომპანიის „ტყიბულის მთის ჩაი“ ჩაის გადამმუშავებელი საწარმო დაათვალიერა.



კომპანია წარმოებული პრემიუმ ხარისხის პროდუქციის რეალიზაციას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე 2024 წლის ბოლოდან გეგმავს. კომპანიის გეგმებშია საწარმოს ტერიტორიაზე ჩაის კულტურის ცენტრის შექმნაც.

**აღსანიშნავია, რომ შპს „ტყიბულის მთის ჩაი“ სოფლის განვითარების პროგრამების ბენეფიციარია, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კომპანიამ „ქართული მთის ჩაი“ 19,1 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია მოახდინა, ხოლო ტექნიკური დახმარების პროგრამით**

**მიღებული თანადაფინანსებით, ჩაის გადამმუშავებელ საწარმოში სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემა დანერგა.**

საქართველოს მასშტაბით, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 3,5 მლნ ლარით დაფინანსებულია 1,708 ჰექტარზე ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია; მათ შორის, იმერეთის რეგიონში - 900 ჰექტარზე მეტ ფართობზე. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ჩაის გადამმუშავების მიზნობრიობით 10, 1 მლნ ლარის ღირებულების 63 სესხია გაცემული.



**ქუთაისში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ახალი ოფისი გაიხსნა**

ქ. ქუთაისში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ახალი შენობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ დაათვალიერა და სამუშაო პროცესს გაეცნო.

შენობა აღჭურვილია უმაღლესი სტანდარტების ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით. ახალ ოფისში დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტორებისა და სწრაფი რეაგირების 129 თანამშრომელი განთავსდება. დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია იმერეთს და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთს აერთიანებს.

მინისტრის განმარტებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია.

**„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი სამინისტროს სისტემაში, რომლის მთავარი ამოცანაა ჩვენი უნიკალური ბუნების დაცვა, გარემოზე ზიანის მიყენების პრევენცია და კონტროლი. შესაბამისად, ჩვენ პრიორიტეტად დავისახეთ, რომ ეს სამსახური მაქსიმალურად გავაძლიეროთ, თანამშრომლები**



**უზრუნველყოფილი იყვნენ ყველ საჭირო აღჭურვილობით, ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით, იმისთვის, რომ სათანადოდ განახორციელონ მათზე დაკისრებული ძალიან მნიშვნელოვანი უფლებამოსილება. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა და ამ კუთხითაც აქტიურად ვმუშაობთ. ამის მაგალითია ქუთაისში გახსნილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების ოფისი. ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას. ყველა რეგიონში ასეთი ტიპის ოფისები უნდა გვქონდეს და ამას ძალიან მალე დავასრულებთ“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.**



ახალ შენობაში, მინისტრთან ერთად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი ლევან ჭლარკავა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძე და ქუთაისის მერი იოსებ ხახალაიშვილი იმყოფებოდნენ.





ოთარ შამუგია: „ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ კერძო ლაბორატორიული ქსელის განვითარებას“.

თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, ახალი, საერთაშორისო ანალიტიკური ლაბორატორია გაიხსნა. ლაბორატორიის გახსნის ღონისძიებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია დაესწრნენ.



„ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ კერძო ლაბორატორიული ქსელის განვითარებას; თბილისში ასეთი სტანდარტების ლაბორატორიის გახსნა მნიშვნელოვანი ფაქტია. აღსანიშნავია, რომ მუდმივად იზრდება ლაბორატორიულ მომსახურებაზე მოთხოვნა და საჭიროება. ამიტომ, ყოველწლიურად ვზრდით და ვაძლიერებთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის შესაძლებლობებს.“

სამინისტრომ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად შეიმუშავა და დაამტკიცა ლაბორატორიული ქსელის განვითარების კონცეფცია. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ლაბორატორიული ქსელის განვითარების პროცესს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს DCFTA ფარგლებში, იმ ვალდებულებების შესრულების კუთხით, რომელიც ჩვენ გვაქვს აღებული ევროკავშირთან

ინტეგრაციის მიმართულებით“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

საერთაშორისო ანალიტიკური ლაბორატორიის საქმიანობა მოიცავს აგრარულ, ვეტერინარულ და სურსათის უვნებლობის, მათ შორის HACCP-ის მიმართულებით სრულ ლაბორატორიულ მომსახურებას, პურ-ფუნტუსების, მარცვლეულისა და თხილეულის დეტალურ კვლევას, ქიმიურ-მიკრობიოლოგიური ნიადაგის, ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებისა და დამაბინძურებლების და ცხოველის საკვებში ანტიბიოტიკების ნარჩენების დეტალურ შესწავლასა და ანალიზს.

ლაბორატორიაში ჩატარდება მაღალტექნოლოგიური კვლევები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის სტანდარტებთან. ლაბორატორია ბიზნეს-სექტორსა და კერძო პირებს 500-მდე კვლევას სთავაზობს.



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია საპარტოვალსო თავაზობაზე დასოფლისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას შეხვედა**



შეხვედრის მონაწილეებმა აკვაკულტურის დარგის პერსპექტივები და არსებული გამოწვევები განიხილეს.

„აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოში აკვაკულტურის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. მოგეხსენებათ, ფერმერთან პირდაპირ კომუნიკაცია მნიშვნელოვანია გამოწვევების აღმოსაფხვრელად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ჩვენ გვაქვს საინტერესო გეგმები. მენარმებთან ერთად აუცილებლად შევძლებთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას და იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რაც დარგში რეალურად გვაქვს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.



შეხვედრაზე საუბარი შეეხო დარგობრივი ცოდნის ამაღლების, ლაბორატორიული შესაძლებლობის გაუმჯობესებისა და დარგის განვითარების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების მნიშვნელობას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

**საძოვრების მართვის შესახებ კანონპროექტის განხილვა გაიმართა**



საძოვრების მართვის თემაზე, მათ შორის მათი იდენტიფიკაციაზე, საძოვრებით სარგებლობის ფორმებზე, დეგრადაციის პრევენციის უზრუნველყოფაზე და სხვა მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე შეხვედრაზე იმსჯელეს.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი ესწრებოდნენ. თენგიზ ნასარიძემ საძოვრების მართვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში დასრულდება საძოვრების მართვის შესახებ კანონპროექტის შემუშავება.

„საძოვრების მართვა, წლების განმავლობაში, გამოწვევა იყო როგორც ჩვენი ფერმერებისთვის, ისე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისთვის. სამუშაო შეხვედრებზე შევეჯერდით მთავარ საკითხებზე, რაც კანონპროექტში იქნება ასახული. ვფიქრობთ, რამდენიმე თვეში კანონპროექტს საზოგადოებას საჯარო განხილვის ფორმატში წარვუდგენთ. კანონპროექტი მუშავდება მოსახლეობის და ფერმერების ინტერესების სრულად გათვალისწინებით“, - აღნიშნა თენგიზ ნასარიძემ.

საძოვრების მართვის შესახებ კანონპროექტის მიზანი საძოვრების მდგრადი მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნით საძოვრების დეგრადაციის პრევენცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, პროდუქტიულობის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მეცხოველეობის დარგის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაა.

კანონპროექტი სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული საძოვრების; დაცულ ტერიტორიებში, მათ შორის დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მართული, ასევე დაცულ ლანდშაფტებსა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებში და ტყეში, ასევე მათ ფარგლებს გარეთ მდებარე საძოვრების მართვას დაარეგულირებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, მზია გიორგობიანის განცხადებით, მნიშვნელოვანია მსგავსი ფორმატის დიალოგი, რათა სწორად განისაზღვროს უწყებების როლი და ყველა მომზადებული შეხვედრა რეგულაციის მიხედვით.

შეხვედრა პროექტის „მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ორგანიზებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით გაიმართა.



**საქართველომ აზიის, ევროპისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივის მე-10 რეგიონულ დიალოგს უმასპინძლა**



ბიომრავალფეროვნების დაცვაზე, კონსერვაციისთვის რესურსების მობილიზებაზე და ქვეყნების ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიების განვითარებაზე 17 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებმა და ბიომრავალფეროვნების 70-მდე ექსპერტმა, აზიის, ევროპისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივის მე-10 რეგიონულ შეხვედრაზე იმსჯელეს.



„საქართველოში ასეთი მასშტაბური ღონისძიების გამართვა ჩვენი ქვეყნის კონვენციებში აქტიური ჩართულობის და პარტნიორობის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების კარგა უდიდესი გამოწვევაა. ამ დიალოგის მიზანია, ერთად გამოვხაზოთ ბიომრავალფეროვნების დაცვის და დაფინანსების გზები; გავზიაროთ ერთმანეთს ტყეების აღდგენის, კონსერვაციის, ვენის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების და ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენების გამოცდილება“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.

საიუბილეო ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილმა, UNDP-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში ანა ჩერნიშოვამ, UNDP-ის ბიომრავალფეროვნების ფინანსირების პორტფელის ხელმძღვანელმა ონო ვან დენ ჰუფელმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი კვეციანიძემ გახსნეს.

მინისტრის მოადგილემ, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

ბიომრავალფეროვნების ფინანსურ ინიციატივას (BIOFIN) გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) 2012 წლიდან ახორციელებს, რომლის მიზანაც ბიომრავალფეროვნების ფინანსებში არსებული დეფიციტის აღმოფხვრა და რესურსების ეფექტიანი მობილიზებაა. ინიციატივას 41 ქვეყანა უჭერს მხარს, მათ შორის საქართველო, რომელიც BIOFIN-ის გლობალურ პარტნიორობას 2016 წელს შეუერთდა. საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილის ანა ჩერნიშოვას განცხადებით, ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით, საქართველოს მთავრობამ, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

ბიომრავალფეროვნების კუთხით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში; ფლორის 21% ენდემურია, 100-ზე მეტი დაცული ტერიტორიაა, რაც საქართველოს მთავრობის დიდი ძალისხმევის შედეგია“, - აღნიშნა ანა ჩერნიშოვამ.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ეროვნული გეგმა 2019 წელს მიიღო, რის შემდეგაც, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტი ოთხჯერ გაიზარდა; მიმდინარეობს 17 ინოვაციური პროექტი, რომელთა მიზანი ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვისა და კონსერვაციის ხელშეწყობაა.

UNDP-BIOFIN რეგიონულ შეხვედრებს, მსოფლიოში საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად და სტრატეგიების, მექანიზმებისა და მეთოდოლოგიების დახვეწის მიზნით, ყოველწლიურად მართავს. ბიომრავალფეროვნების ფინანსურ ინიციატივას, 2024 წელს, კიდევ 91 ქვეყანა შეუერთდება.



„გლობალურ დონეზე, ბიომრავალფეროვნება დიდი კრიზისის წინაშეა, ურბანიზაციის გამო, ფლორის და ფაუნის სხვადასხვა სახეობის გაქრობა მიმდინარეობს. შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების გზები განვიხილოთ. საზგასასმელია, რომ საქართველო



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე: „ველოდაბით ნარმატივულ ალოობას“**



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი მალხაზ ბეგიაშვილი და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი კონდო მდივნიშვილი კახეთის მხარეში მეხორბლე ფერმერებს და წისქვილკომბინატების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

განმავლობაში, აქტიურად უჭერს მხარს და აფინანსებს ფერმერებისთვის მოსავლის ამლები ტექნიკის შესყიდვას. ამ პროგრამამ შედეგი გამოიღო და შარშან, მოსავლის აღების პროცესში, ფაქტობრივად, პრობლემა აღარ გვექონია. წელს საკმაოდ კარგ მოსავალს ველოდებით; საჰექტარო მოსავლიანობის და ხარისხის მიმართულებით პოზიტიური სურათია“, - აღნიშნა თენგიზ ნასარიძემ.

„განაცხადა მალხაზ ბეგიაშვილმა. ადგილობრივი ფერმერები ხორბლის მოსავლის აღების შტაბის შექმნას მიესალმებიან. ფერმერს, ლაშა გონაშვილს, რომელიც ხორბლის და ქერის მწარმოებელია, მოსავლიანობის და ხარისხის კუთხით, დადებითი მოლოდინები აქვს.

შეფერხების შემთხვევაში, ვის და სად უნდა მივმართოთ“, - აღნიშნა ლაშა გონაშვილმა.

შეხვედრაზე ხორბლის მოსავლის აღების, დაბინავებისა და რეალიზაციაში ხელის შეწყობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფის მნიშვნელობას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის განცხადებით, სახელმწიფო კომპანიის 30 კომბაინი უკვე მობილიზებულია და საჭიროებისთანავე პროცესში ჩაერთვება.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება მარცვლეული კულტურების აღების პროცესში ფერმერებს კოორდინირებულად დაეხმარება.

„უკვე აქტიურ ფაზაში შედის მოსავლის აღება და ამ ეტაპზე კარგი მოლოდინები გვაქვს. ფერმერების ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია, უკვე ვიცით,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვის ცენტრში მობილიზებული მოსავლის ამლები ტექნიკა დაათვალიერა და შირაქის ველზე ქერის აღების პროცესს გაეცნო.

„ხორბლის მოსავლის აღების დაწყებისთანავე ამოქმედდა სამინისტროში შექმნილი საკოორდინაციო შტაბი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება მიმდინარე პროცესების კოორდინირებაში. სამინისტრო და კერძო სექტორი მზად არიან ფერმერებს მოსავლის ამლები ტექნიკით დაეხმარონ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამინისტრო, წლების

„ფერმერებთან გამართული შეხვედრა მიმდინარე და საორგანიზაციო საკითხებს ეხებოდა - როგორიც არის მოსავლის აღება, შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფა, მოსავლის დაბინავება. უკვე დაიწყო ალოობა და დარწმუნებული ვართ, რომ აუღებელი მოსავალი დაუბინავებელი არ დარჩება“.







# კონკურსის „მწვანე ჯილდო 2024“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კონკურსში „მწვანე ჯილდო“ პედაგოგები და აღმზრდელები მთელი საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდნენ.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ღონისძიებას 170-მდე სტუმარი, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია ესწრებოდა.



„მწვანე ჯილდო - გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში 2024“-ის გამარჯვებული ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალისა და ვარხანის საჯარო სკოლების ბუნებისმეტყველებისა და ბიოლოგიის მასწავლებელი ნინო კაჭკაჭაშვილია.

ნინო კაჭკაჭაშვილს 20 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. მან სასწავლო წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი განათლების ხელშესაწყობად, მწვანე დღეების აღნიშვნის ფარგლებში, სხვადასხვა აქტივობა განახორციელა. მისი ღონისძიებები ყურადღებას ამახვილებდა მდგრადი განვითარების მიზნებსა და ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების საკითხებზე. მან ასევე დააარსა სკოლაში ბიოკლუბი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას.

როგორც ნინო კაჭკაჭაშვილი აღნიშნავს, კონკურსში გამარჯვებამ კიდევ უფრო მეტად გაუზარდა მოტივაცია და მისი სამომავლო გეგმებია, უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესოს გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხებით, რისთვისაც შეიმუშავებს განახლებულ აქტივობებს.

„მწვანე ჯილდო - სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება 2024“-ის გამარჯვებული ქ.თბილისის N126 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი ნინო ბარბაქაძე-კახნიაშვილია.

მას 28 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. სასწავლო წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით, მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა, როგორცაა აღსაზრდელებისთვის ნარჩენების მართვის, კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების დროს, თავის დაცვის საშუალებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები. სასწავლო პროცესში ყურადღებას ამახვილებდა ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობაზე, ბუნებრივ რესურსებსა და მასზე ზრუნვაზე. საბავშვო ბაღში მისი თაოსნობით, ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომლის ფარგლებშიც, ხორციელდება დასუფთავებისა და გამწვანების აქციები, სახალისო კვლევები, მაკულატურის შეგროვება და ჩაბარება. გამარჯვებულებს ჯილდოები მინისტრმა ოთარ შამუგიამ გადასცა.

**„დიდ პატივისცემას გამოვხატავ პედაგოგებისა და აღმზრდელების მიმართ; ჩვენი შვილების, მომავალი თაობის განათლება და მათთვის ცოდნის გადაცემა, როგორც**



გარემოსდაცვითი, ასევე აგრარული განათლების მიმართულებით, დიდი პასუხისმგებლობაა და დასაფასებელია. 5 ივნისს მთელი მსოფლიო გარემოს დაცვის დღეს აღნიშნავს და სიმბოლურია, რომ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ღონისძიება ამ დღესთან დაკავშირებით იმართება. ვულოცავ ყველას და ვუსურვებ ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას. ჩვენი მთავრობის, სამინისტროს პრიორიტეტია, ვიზრუნოთ და დავიცვათ გარემო, უნიკალური ბუნება; ამ მიმართულებით ჩვენ ვმუშაობთ იმ ამოცანებზე, რომელიც დასახული გვაქვს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე სხვა საერთაშორისო ვალდებულებებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი უნიკალური ბუნებისა და ჯანსაღი გარემოს დასაცავად, არაერთი რეფორმა უკვე განვახორციელეთ. მომავალში ეს რეფორმები კიდევ უფრო მასშტაბური იქნება“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

კონკურსი „მწვანე ჯილდო“ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ 2018 წლიდან ტარდება. კონკურსის მიზანი იმ

პედაგოგებისა და აღმზრდელების გამოვლენა და ნახალისებაა, რომლებიც ზრუნავენ ბავშვების გარემოსდაცვით და აგრარულ განათლებაზე და სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ და „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“. 2024 წელს გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდნენ კონკურსანტები მთელი საქართველოს მასშტაბით. სულ მონაწილეობა მიიღო 200-მდე პირმა.

**„განათლება წარმოადგენს თანამედროვე გამომწვევებთან გამკლავებისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ და მნიშვნელოვან საყრდენს. გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების პროცესი კი ხელს უწყობს და აძლიერებს განათლებას მდგრადი განვითარებისათვის. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი უზრუნველყოფს წამახალისებელი ღონისძიებების ხელმისაწვდომობას, როგორც სკოლამდელი აღზრდის დანერგულებებში, ისე განათლების დანერგებით, საბაზო, საშუალო, უმაღლეს და პროფესიულ საფეხურზე.**

ცენტრის ირგვლივ შეკრებილია და მის საგანმანათლებლო თუ ცნობიერების ასამაღლებელ პროგრამებში ჩართულია ასობით, ათასობით მოსწავლე, მასწავლებელი, სტუდენტი და სხვა. ცენტრის მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი, პროექტი მიმართულია ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარებისკენ“, - აღნიშნავს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი.

ღონისძიების ფარგლებში, სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები და საკონკურსო კომისიის რჩეული მონაწილეები.

დაჯილდოების ცერემონიას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები კახა კაკაბაძე და სოლომონ პავლიაშვილი, სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში დავით ნოზაძე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები ესწრებოდნენ.

კონკურსის „მწვანე ჯილდო“ მხარდამჭერები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისის ზოოპარკი, ეკოხედვა, CENN.





სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ევროპის რეგიონული კომისიის ვიცეპრეზიდენტად მეორედ აირჩიეს



პარიზში გამართულ ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ასამბლეის 91-ე გენერალურ სესიაზე საქართველოს დელეგატი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე ევროპის რეგიონული კომისიის ვიცე-პრეზიდენტად, ხმათა უმრავლესობით, მეორედ აირჩიეს.

ორგანიზაციის წევრი 183 ქვეყნის წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა და პარტნიორებმა საქართველოს დელეგატის ერთწლიანი საქმიანობა დადებითად შეაფასეს და აღნიშნული მანდატი ამჯერად სამი წლის ვადით მიანიჭეს.

„წელს, როცა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაარსების 100 წლის იუბილეს აღნიშნავს, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონული წარმომადგენლობის ჩართულობა იმ საერთო მიზნის მიღწევაში, რაც ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას გულისხმობს. აღსანიშნავია ამ მხრივ საქართველოს პროგრესი. ჩვენ მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და ეფექტიანი მართვის მექანიზმების

დაწერეს და გამოყენებას, - აღნიშნა ვასილ ბასილაძემ.

სესიის ფარგლებში, გაიმართა გენერალური დირექტორის არჩევნებიც. ამ პოზიციაზე 5 წლის ვადით ემანუელ სოუბერნი აირჩიეს.

ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში (WOAH) 183 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული. ორგანიზაცია წამყვან როლს ასრულებს და განსაზღვრავს ვეტერინარულ პოლიტიკას მსოფლიოში; ზედამხედველობას უწევს მისი იმპლემენტაციის პროცესს. WOAH-ის საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირდება ცხოველთა 120-ზე მეტი დაავადება, მათ შორის, ზოონოზები (აღამიანისა და ცხოველის საერთო დაავადება), რომლებიც რეგულარულად ექვემდებარება განახლებას და მტკიცდება გენერალურ სესიაზე. აღნიშნული სტანდარტები ქვეყნებს ეხმარება დაავადებების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებასა და ცხოველებითა და ცხოველური პროდუქტებით უსაფრთხო ვაჭრობის უზრუნველყოფაში.

გაიყვანა მესხიერი

ჭაბა აბაიშვილი სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი



„ვაზის სიყვარული ჩემი ოჯახიდან, ჩვენი ტრადიციებიდან მომყვება, რამაც აგრარულ უნივერსიტეტში მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალობაზე ჩაბარების გადაწყვეტილება მიმალბინა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 2018 წელს, მუშაობა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილდოს მრავალწლიანი

კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე სპეციალისტად დაიწყო. ჯილდოს ბაზა გამორჩეული მნიშვნელობის ადგილია, სადაც საკოლექციო ნარგავობაში დაცულია ვაზის 350 უცხოური და 437 ქართული ჯიშის, მათ შორის, ქართული ვაზის უნიკალური და იშვიათი ჯიშების კოლექცია, რომლის მოძიება და აღდგენა ხანგრძლივი დროის განმავლობაში

მიმდინარეობდა. მუშაობის პარალელურად, წარმატებით დავასრულე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“. დღეს კი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი გახლავართ.

მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კუთხით განხორციელებული პროექტები დაკავშირებულია არამარტო პრაქტიკულ, არამედ საგანმანათლებლო ღონისძიებებთან. ჩემი ძირითადი საქმიანობაა საკოლექციო და ექსპერიმენტულ ნარგავობაში ვენახის მოვლა-მოყვანის სხვადასხვა მეთოდის გამოცდა, გასხვლის და ფორმირების ფორმების შერჩევა ინდივიდუალური ჯიშებისთვის, აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარება და სხვ. უმთავრესი პროექტი, რომელიც ხორციელდება ცენტრის დაარსების დღიდან, გახლავთ ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა და კონსერვაცია, ადგილობრივი და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების შესწავლა და მათი ენოლოგიური პოტენციალის შესწავლა-შეფასება.“

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აგრარულ დარგში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიზნით, ცენტრის ბაზაზე და ლაბორატორიებში რეგულარულად ატარებს უფასო ტრენინგებს და სემინარებს, სადაც ჯაბა აბაიშვილი არის ჩართული, ასევე, ჯილდოს ბაზაზე ბაკალავრების და მაგისტრების სავსე და სანარმოო პრაქტიკებს ხელმძღვანელობს. ბაზაზე, ვაზის ჯიშების აღდგენის პარალელურად, იშვიათი ვაზის ჯიშებისგან ღვინოების დაყენება და მათზე კვლევა ხორციელდება.

ჭაბა აბაიშვილი: „რთულია, მაგრამ აუცილებელია გავაზროთ, რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიის გაცნობიერება არჩევა, რადგან ამ დროს ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან გზას ვირჩევთ. სამომავლოდ კი, ჩვენი პროფესიის სიყვარული გვაძლევს მოტივაციას, ყოველდღიურ საქმიანობაში მოვიკრიბოთ ახალი ძალები და შედეგად წარმატებული იქნება“.



სოფელ იყალთოში საგაბიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს



ელდება დიუკერიდან წყლის ამოტუმბვის სამუშაოები და დაზიანებული ბეტონის საფარის დემონტაჟი. დაგეგმილია დიუკერის მარცხენა ძაფის დანალექი გრუნტისა და სხვადასხვა სახის ნარჩენებისგან განმუხრება და დაზიანებული ბეტონის საფარის ორმაგი არმირებით აღდგენა.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე აღდგენით სამუშაოებს ატარებს. კახეთში მაისის ბოლოს მოსულმა უხვმა ნალექმა დიუკერის მარცხენა ძაფის ბეტონის საფარი დააზიანა. ამჟამად მიმდინარეობს მდინარე ალაზნის კალაპოტში წყლის დინების მიმართულების შესაცვლელად გრუნტის დამუშავების და დაზიანებული მონაკვეთის გრუნტისგან გათავისუფლების სამუშაოები. ინტენსიურ რეჟიმში ხორცი-

მსოფლიო ბანკი პოზიტიურად აფასებს საქართველოში მელიორაციის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს



მსოფლიო ბანკი პოზიტიურად აფასებს საქართველოში მელიორაციის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს. შეხვედრის მონაწილეებმა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული საირიგაციო წყლის მიწოდების წესები განიხილეს. საუბარი შეეხო ტარიფის მეთოდოლოგიას, რომელიც ტარიფში საოპერაციო ხარჯების ასახვას ითვალისწინებს.

„საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლებთან გვექნა სიღრმისეული დისკუსია იმ მნიშვნელოვანი და მასშტაბური რეფორმის მიმდინარეობაზე, რომელსაც „საქართველოს მელიორაცია“ ირიგაციის სექტორში ყველა მიმართულებით ახორციელებს. საქართველოს მელიორაციის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ტარიფის მეთოდოლოგიაზე, დეტალურად განვიხილეთ საირიგაციო ტარიფის მეთოდოლოგიის ფორმა; ასევე, საირიგაციო წყლის მიწოდების წესები, იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მომსახურების განევა დარეგულირდება

სემეკის მიერ. ჩემთვის, როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენლისთვის, თვალსაჩინოა, საქართველოს მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები ცვლილებების გასატარებლად, სექტორის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად, ფერმერთათვის წყლის მიწოდების მომსახურების გასაუმჯობესებლად. მზად ვართ და გვსურს, რომ მაქსიმალურად დავუჭიროთ მხარი საქართველოს ყველა ნაბიჯში“, - განაცხადა მსოფლიო ბანკში წყლის რესურსების მართვის მთავარი სპეციალისტისა და „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის (გრეილის) ამოცანების ჯგუფის ხელმძღვანელმა რანე სინჰამ.

შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხრიდან შემოთავაზებული იყო რამდენიმე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის შემოსავლების დაბალანსებას, კომპანიის მიერ განეულ საოპერაციო ხარჯებთან მიმართებაში. როგორც წყლის რესურსების მართვის, ენერჯეტიკისა და სემეკ-თან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, მამელი ქობალიამ აღნიშნა, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან კონსულტაციები კომპანიისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ახალი რეგულირების ფარგლებში არსებული გამოწვევების დასაძლევად.



ბურჯანის მუნიციპალიტეტში, ევრო ალაზნის სარწყავი სისტემის ვირვალე რიგის გამაანალიზებელი არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



სამუშაოები, რომელიც ივნისის ბოლოს დასრულდება, სოფელ ვეჯინში 240 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს და მოსავლიანობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რწყვის სეზონის პარალელურად, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონტაჟის ღონისძიებებს განაგრძობს. 1700 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ლითონის მილით დახურული ქსელი ეწყობა.







**ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენა WINEXPO GEORGIA 2024**



სამდლიანი გამოფენა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და გამოფენების ცენტრი „ექსპოჯორჯიას“ ორგანიზებით გაიმართა და მასში მსოფლიოს 8 ქვეყნის 200-მდე კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე დაესწრო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი დიდი და საშუალო კომპანიები, მცირე მარნები, ასევე ღვინის ტექნოლოგიები, შესაფუთი მასალები, მევენახეობა-მელვინეობის მანქანა-დანადგარები, სანერგეები, მინა, აქსესუარები და სერვისები.

ღონისძიება ოფიციალურად გახსნეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძემ, გამოფენების ცენტრი „ექსპოჯორჯიას“ დირექტორმა რესან ქიქავამ და ბრიტანელმა ღვინის მაგისტრმა ტიკ ატკინმა.

„მსგავსი გამოფენები და ღონისძიებები საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს ღვინის პოპულარიზაციისთვის, სადაც დაინტერესებულ კომპანიებს, იმპორტიორებსა და მენარმეებს აქვთ საქმიანი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა. გამოფენის მასშტაბი, მონაწილე კომპანიების და ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ადასტურებს გამოფენის პრესტიჟულობას და ქართული ღვინისადმი გაზრდილ ინტერესს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ღვინის ინდუსტრია სწრაფად ვითარდება, იქმნება ღვინის მწარმოებელი ახალი კომპანიები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები და ინარმოება მაღალი ხარისხის ღვინო, ყოველწლიურად იზრდება ქართული ღვინის ექსპორტიც. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო ბაზრებზე აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს და ეს მხარდაჭერა გაგრძელდება მომავალშიც“, - აღნიშნა იური ნოზაძემ გამოფენის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე.



**ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენის WINEXPO GEORGIA 2024 ფარგლებში, ღვინის მე-14 საერთაშორისო კონკურსის INTERNATIONAL WINE COMPETITION გამართვაზე გამოვლინდნენ**

კონკურსზე ოქროს მედალი 21-მა ღვინომ დაიმსახურა, მათგან ექვსმა გამორჩეულმა ღვინომ უმაღლესი ჯილდო, „ტროფი“ მიიღო. ვერცხლის მედლით 77 და ბრინჯაოს მედლით 96 ღვინო დაჯილდოვდა. კონკურსზე წარდგენილი იყო როგორც მსხვილი კომპანიების, ასევე მცირე და საოჯახო მარნების, ჯამში, 76 კომპანიის წარმომადგენელი 226 ღვინის ნიმუში.

კონკურსი International Wine Competition ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენის WinExpo Georgia ფარგლებში ჩატარდა.

გამარჯვებულ კომპანიებს ჯილდოები გამოფენების ცენტრ „ექსპოჯორჯიას“ დირექტორმა რესან ქიქავამ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზელამ და კონკურსის უიურის სხვა წევრებმა გადასცეს.

**„აღნიშნული კონკურსი საუკეთესოდ წარმოაჩენს ქართული ღვინის ხასიათს და მეღვინეობის თანამედროვე**

**მდგომარეობას. როგორც უიურის წევრი, აღვნიშნავ, რომ კონკურსზე წარმოდგენილი იყო საუკეთესო ღვინოები. მაღლობა უიურის თავმჯდომარეს და ყველა წევრს, რომლებმაც შეაფასეს ქართული ღვინოები. აღნიშნული კონკურსი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ქართული ღვინის და მეღვინეობის კულტურის პოპულარიზაციის, ასევე კონკრეტული ღვინის მწარმოებლების და მათი პროდუქციის ცნობადობის ზრდისთვის საერთაშორისო ბაზარზე“, - აღნიშნა ლევან მეხუზელამ.**

კონკურსის დაჯილდოების ცერემონიაზე, ექვს გამორჩეულ ღვინოს სპეციალური პრიზი „სომელიეს არჩევანი“ გადასცა საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხევერიანმა.

კონკურსის უიურის შემადგენლობაში ღვინის მაგისტრები, ენოლოგები, საერთაშორისო ექსპერტები და ღვინის პროფესიონალები შედიოდნენ.



კონკურსის თავმჯდომარე იყო ღვინის მაგისტრი ტიმ ატკინი (დიდი ბრიტანეთი), ხოლო წევრები: ანა მარტინ ონზანი (ესპანეთი), კენიჩი ოჰაში (იაპონია), ქონგ ქონგ ბო (დიდი ბრიტანეთი), ბეთ ვილარდი (ავსტრალია), ჩან ჯუნ პარკი (კორეის რესპუბლიკა), ლევან მეხუზლა (ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე (საქართველო)), მიხეილ მეხი (საქართველო), ანა გოდაბრელიძე (საქართველო) და გიორგი დაქიშვილი (საქართველო).







ალადასტურნი

# რას წარმოადგენს ალმოსავლეთ საქართველოში ალადასტურის სახელით გავრცელებული ვაზის ჯიშ

მიუხედავად ვაზის ჯიშების ადგილობრივი გენოფონდის მრავალფეროვნებისა, ქართველი მეურნე ყოველთვის ცდილობდა მისთვის საინტერესო ვაზის საქართველოს ერთი რეგიონიდან მეორეში გადატანასა თუ უცხო ქვეყნიდან შემოტანას. უკანასკნელ პერიოდში, ალმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ქართლში, საყურადღებოა „ალადასტურის“ სახელის მქონე ვაზის ჯიშის გავრცელება და პოპულარობა. აღსანიშნავია, რომ ვაზის ჯიშის ალადასტური, ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, ქართველებისთვის ცნობილი იყო ქვეყნის დასავლეთში და არ გვხვდებოდა ალმოსავლეთ ნაწილში.

ჩატარებული სამეცნიერო კვლევების თანახმად, გამოიკვეთა დასავლეთ და ალმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ალადასტურის ნიმუშების ამპელოგრაფიული არაერთგვაროვნება.

აღსანიშნავია, რომ შესწავლილ ორ ჯიშს შორის განმასხვავებელი ნიშნები უფრო მეტი აქვთ, ვიდრე მსგავსი. ორ გენოტიპს შორის მსგავსებამ შეადგინა 40%, მაშინ როცა განმასხვავებელი ნიშნების რაოდენობა 60%-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი არსებითი განსხვავება ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს ალადასტური საღვინე ვაზის ჯიშია, ხოლო ალმოსავლეთ საქართველოში ალადასტურის სახელით გავრცელებული ჯიშის სასურფრე მიმართულებას მიეკუთვნება.



მოლდოვა

ალმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ალადასტურის ნიმუშების ამპელოგრაფიული აღწერილობის შედარებით სხვა ჯიშების ამპელოგრაფიულ აღწერილობებთან, დადგინდა, რომ ეს არის ჯიშის მოლდოვა, რომელიც გამოყვანილი იყო 1961 წელს მოლდოვას მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში (მ.ს. შურაველის, ი.პ. გავრილოვის, გ.მ. ბორზიკოვას და ნ.ი. გუზუნის მიერ) ჯიშ გუზალ კარას შეჯვარებით ჭრაქის მიმართ გამძლე რთულ სახეობათა შორის ჰიბრიდ ვილარ-ბლანთან (შურაველი, გავრილოვი, 1986, ტროშინი, 2006). ამ უკანასკნელიდან, ჯიშმა მოლდოვამ, ჭრაქის მიმართ ამალღებელი გამძლეობის უნარი შეიძინა.

მოლდოვა, როგორც ჭრაქისადმი მაღალი გამძლეობის სასურფრე ვაზის ჯიშის, საქართველოში შემოტანილი იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ალმოსავლეთ საქართველოში მოლდოვას ინტენსიური გაშენების პერიოდი, სწორედ XX საუკუნის ბოლოს – XXI საუკუნის დასაწყისს უკავშირდება.

შესაძლებელია, რომ ალადასტურის და მოლდოვას ნაყოფის (ოვალური ფორმის შავი ფერის მარცვლები) გარეგნული მსგავსება გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართლში გავრცელებულ ვაზის უცხოური ჯიშისათვის ადგილობრივ მცხოვრებლებს ალადასტური დაერქმიათ. ასე წარმოიშვა მოლდოვას ჯიშის ომონიმური სახელი ალმოსავლეთ საქართველოში.

ამავდროულად, არ უნდა გამოვიწყოთ, რომ ალმოსავლეთ საქართველოში ნამდვილი ალადასტური იყოს გავრცელებული, თუმცა, უკანასკნელი პერიოდის დაკვირვება და მიღებული გამოცდილება, აღნიშნულ რეგიონში, ალადასტურის სახელით, უმეტესად მოლდოვას ჯიშის გავრცელებას მიუთითებს.

არსებული სამეცნიერო წყაროების თანახმად, ალადასტური არის გურიის ადგილობრივი ვაზის ჯიშის და ისტორიულად, ყოველთვის გავრცელებული იყო იმერეთსა და გურიაში. მისი აღწერა შეტანილია თითქმის ყველა ამპელოგრაფიულ ნაშრომში (ნაკაშიძე, 1929; ვვარაცხელია 1936; კეცხოველი და სხვ. 1960; რამიშვილი, 1963; ცერცვაძე, 1987; ალადასტური, 1986; Del Zan, 2009 და სხვა). ალადასტური XX საუკუნის განმავლობაში, როგორც ხარისხიანი საღვინე ჯიშის, შეტანილი იყო საქართველოს ვაზის ჯიშების სტანდარტულ სორტიმენტში, რომელმაც საუკუნის ბოლოს, ასახვა პპოვა საქართველოს კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ (1998). დღევანდელი მდგომარეობით, გურიისა და იმერეთის მევენახეობის ზონებისათვის, ალადასტური კვლავ წარმოადგენს რეკომენდებულ ვაზის ჯიშს საღვინე მიმართულებით.

საქართველოს ტერიტორიაზე, XX საუკუნის განმავლობაში, ჩატარებული ოფიციალური აღწერის მასალებიდან (კეცხოველი და სხვ. 1960; მიმონერა, 1970; მიმონერა, 1985; აღწერა, 2004) ირკვევა, რომ ალადასტურის ნარგავები, ისტორიულად, წარმოდგენილი იყო ძირითადად გურიაში – ჩოხატაურისა და ოზურგეთის, ხოლო ქვემო იმერეთში – ვანისა და სამტრედიის რაიონებში. 1953 წლის ვენახების აღწერის მიხედვით (კეცხოველი და სხვ. 1960), ალადასტურის ნარგავი გავრცელებული იყო მხოლოდ დასავლეთ საქართველოში და მისი საერთო ფართობი 60,81 ჰექტარს შეადგენდა. ეს მაშინ, როდესაც ალმოსავლეთ საქართველოში არც ერთი ძირი ვაზი არ ყოფილა აღრიცხული. 1970 და 1985 წლების ვაზის ნარგავობათა აღწერის შედეგად (მიმონერა, 1970, 1985) ირკვევა, რომ აღნიშნულ წლებში, საქართველოში ალადასტურის ვაზის ჯიშის გავრცელების არეალი გაიზარდა და იგი დასავლეთ საქართველოს გარდა, უკვე ფიქსირდება ალმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის ქართლის რაიონებშიც, თუმცა ეს არის ძალიან მცირე რაოდენობა – 1,05 ჰა და 1,40 ჰა, რაც ალმოსავლეთ საქართველოში ალადასტურის ნარგავობის 5,4% და 5,0%-ს შეადგენს.

2004 წლის აღწერის დროს, მდგომარეობა დიამეტრულად იცვლება: საქართველოში აღრიცხული 174 993 ძირი ალადასტურის ნარგავობიდან (52,53ა) დასავლეთ საქართველოზე მოდიოდა 80 001 ძირი (24,79 ჰა), ხოლო ალმოსავლეთ საქართველოზე – 92 148 ძირი (27,71 ჰა), რაც პროცენტულად 47,3% (დასავლეთი)/52,7% (ალმოსავლეთი) შეადგენს. 2004 წელს წარმოდგენილი აღწერის შედეგების მიხედვით, ალადასტურის ვაზის ჯიშით გაშენებული ვენახების ფართობით, ალმოსავლეთ საქართველო დასავლეთს აჭარბებს.



## ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი 11 საოჯახო მარანი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ გამოფენაში „RAW Wine Tokyo“ მონაწილეობდა.



გამოფენის „RAW Wine Tokyo“ სტუმრები ქართული მარნების: „კასრელი ვაინერი“, „იორა“, „ნადელები“, „გაბრიელის ღვინო“, „ექიმის ბიო მარანი“, „მანავი ვაინს“, „ანდრიას ღვინო“, „ველინო“, „დორეში“, „ბაღდათი ისთეითი და „ანბანი“ ღვინოებს გაეცნენ, ასევე მიიღეს ინფორმაცია ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებსა და კულტურის შესახებ.

გამოფენაზე „RAW Wine“ (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის ექსპერტი საფრანგეთიდან იზაბელ ლევერონი.

ტოკიოში გამართულ გამოფენას იაპონიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეიმურაზ ლეჟავა დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ, იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საქსპორტო ბაზარია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იაპონურ ბაზარზე ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. მას შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მუდმივად მონაწილეობენ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში „Foodex Japan“ და „Wine and Gourmet Japan“. ტარდება ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში, იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოს ყველა რეგიონში.



## ქართული ღვინო გამოფენაზე LONDON WINE FAIR 2024

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „London Wine Fair 2024“ მონაწილეობდა.



პრესტიჟულ გამოფენას, ტრადიციულად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ათასობით სტუმარი, მათ შორის, ღვინის ექსპერტი, ღვინით ვაჭრობის სფეროს და მედიის წარმომადგენელი ესწრება. შესაბამისად, „London Wine Fair“ წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ქართველი მწარმოებლებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორობის მოძიების, პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით.

გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანიის

„Swirl Wine Group“ ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა სარა ებოტმა (Sarah Abbott) ღვინის პროფესიონალებისთვის ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები გამართა, სადაც ასევე წარმოდგენილი იყო 2023 წლის ღვინის საერთაშორისო კონკურსზე (IWSC) გამარჯვებული ქართული ღვინოები.

გამოფენას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს დესპანი გიორგი საგანელიძე დაესწრო.

გამოფენა „London Wine Fair“ 1981 წლიდან ტარდება და ღვინის სექტორში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება.



## ბრიუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია - „Georgian Natural Wine Day“ (ქართული ბუნებრივი ღვინის დღე) გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა სახეობის 10 ქართული ღვინო იყო წარდგენილი.



დეგუსტაციას 1000-მდე სტუმარი, მათ შორის, უზრუნველყოფის ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. ქართული ღვინის მსგავსი მასშტაბური წარდგენა

ბრიუსელში მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსაც გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას და საქსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში ახორციელებს.







# GEORGIA

## Discover Georgian Quality Products

ქართული აგროპროდუქტი საერთაშორისო გამოფენებზე



### ამსტერდამში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე WORLD OF PRIVATE LABEL INTERNATIONAL TRADE SHOW ქართული სტენდი პირველად იყო წარმოდგენილი

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ქართულმა კომპანიებმა: „ნათსჯი“, „კულა“, „ბატონო“, „არომაპროდაქტი“, „მაისი 2020“, „კამპა“, „ველინგტონი“ და „ჩემპი“, რომლებმაც გამოფენის სტუმრებს ქართული აგროპროდუქცია: თხილი, წვენი, ჩიფსები, ჯემები და კომპოტები გააცნეს.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ნიდერლანდებში, ქალაქ ამსტერდამში გამართულ გამოფენაზე „World of Private Label International Trade Show“ ქართული სტენდი პირველად იყო წარმოდგენილი.

ამსტერდამში გამართულ გამოფენას სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით ნითლიძე და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია ესწრებოდნენ.

„ევროკავშირის ბაზარი არის სტრატეგიული მიმართულება ქართული პროდუქციის ექსპორტისთვის. ამსტერდამში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ქართული სტენდი სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით იყო მოწყობილი, პროდუქცია 8

ქართულმა კომპანიამ წარადგინა, რაც კარგი შესაძლებლობაა ქართული კომპანიებისთვის, დაამყარონ კავშირები და განავითარონ ექსპორტი პრიორიტეტული მიმართულებებით“, - განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორმა დავით ნითლიძემ.

როგორც ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა დავით სოლომონიამ აღნიშნა, ამსტერდამში გამართულ ერთ-ერთ მასშტაბურ გამოფენაზე ქართული მხარის მონაწილეობა მნიშვნელოვანია საქსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებისა და ევროკავშირის ბაზარზე წვდომის კუთხით. ქ. ამსტერდამში გამართულ გამოფენაში „World of Private Label International Trade Show“ მონაწილეობას იღებდა 3000-მდე კომპანია 73 ქვეყნიდან, მონყობილი იყო 60-ზე მეტი საერთაშორისო და რეგიონული პავილიონი.



„იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წელია ევროპის ბაზარზე გავდივართ, ეს გამოფენა საინტერესოა ჩვენთვის, ველოდებით ახალ შემოთავაზებებს. სახელმწიფოს მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ, რადგან ჩვენ ვერ შევძლებდით დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღებას, ვერც ერთი კომპანია ვერ შეძლებდა ამას. სახელმწიფომ მოგვცა იმის საშუალება რომ საერთაშორისო ბრენდებს შევთავაზოთ ჩვენი პროდუქცია“, - აღნიშნავს გორის საკონსერვო ქარხანის - „კულა“ დირექტორი ივანე გოგლიძე.

გორის საკონსერვო ქარხნის - „კულას“ წარმოების ძირითადი მიმართულებაა ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების დამზადება. საწარმო პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტი აქვს ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით; ამზადებს მურაბებს, ჯემებს, კომპოტებს და სხვადასხვა პროდუქტს.



„იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ წარმოვადგენთ თხილის გადამამუშავებელ და ექსპორტიორ კომპანიას და ჩვენი ძირითადი ბაზარი არის ევროპული ბაზარი, ამსტერდამში ჩვენი წარდგენა ერთ-ერთ დიდ გამოფენაზე არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს არის კარგი საშუალება შევიდეთ ევროპული სუპერმარკეტების სხვადასხვა ქსელში, სხვადასხვა მომხმარებელთან. რომ არა სახელმწიფოს დახმარება, ჩვენ ვერ შევძლებდით ამას დამოუკიდებლად. რაც უფრო მეტ და დიდ გამოფენებზე იქნება ქართული კომპანიები და პროდუქტები, მით უფრო მეტად მოიმატებს ცნობადობა, რაც შექმნის მოთხოვნას და ჩვენ შევძლებთ მომხმარებლებს ჩვენი პროდუქცია მივანდოთო შუამავლების გარეშე“, - აღნიშნავს კომპანიის ხელმძღვანელი მამუკა ბერიძე.

კომპანიის „nuts.ge“ თხილის გადამამუშავებელი საწარმო ქ. ზუგდიდში სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით 2017 წელს ამოქმედდა. აღსანიშნავია, რომ კომპანია პროდუქციის ექსპორტს არაერთ ქვეყანაში ახორციელებს.



„ჩვენთვის ევროკავშირის ბაზარი პრიორიტეტულია. იქ კარგი პირობებია ქართული პროდუქციისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დიდი ქსელი იღებს მონაწილეობას ამსტერდამში გამართულ ამ საერთაშორისო გამოფენაში. ეს არის საუკეთესო საშუალება პირადი კონტაქტების დამყარებისა და პროდუქტების გასაცნობად. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა გამოფენების ორგანიზების კუთხით“, - აღნიშნავს კომპანიის „კამპა“ ექსპორტის მენეჯერი გიორგი ლომთაძე.

„კამპა“ ქართული ბრენდია, რომელიც უკვე თოთხმეტი წელია ბაზარზეა. კომპანია აწარმოებს 14 სახეობის წვენსა და ნექტარს, რომლებიც მზადდება ხარისხიანი ნედლეულისგან.





შპს „ჩემპის“ საწარმო მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დივში, საწარმოში სხვადასხვა სახეობის ვაშლის ჩიფსი მზადდება

„ჩვენი კომპანია არის ჯანსაღი ხემსის მწარმოებელი კომპანია. საოკუპაციო ხაზთან ძალიან ახლოს გვაქვს საწარმო. ამიტომ, წარმოებასთან ერთად ჩვენ გვაქვს სოციალური მიზანი, რომ დავასაქმოთ ადგილობრივები და მხარი დავუჭიროთ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. ამსტერდამში, საერთაშორისო გამოფენაზე ჩვენი პროდუქციის წარდგენა ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან ჩვენი პრიორიტეტი არის ექსპორტი, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, შევიძენთ პარტნიორებს, რომლებთან ერთად შემდეგ ვითანამშრომლებთ.“ - აცხადებს კომპანიის „ჩემპი“ თანადამფუძნებელი თამარ შეითნიშვილი.

**ბაქოში, გამოფენაზე „CASPIAN AGRO 2024“ საქართველოდან მენარჩევათ საკუთარი პროდუქცია წარადგინეს**

საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო კომპანიების „აჩინებელი“, „ანიგოზი“, „ქალაქური“, „სადილი“, „კულა“, „მაისი“, „ჯორჯიან ბეიქერსი“ და „ბელატოსი“ წარმოებული ქართული კაკალი, საკონსერვო ნაწარმი, ნატურალური წვევები, საკონდიტრო ნაწარმი, ჩირი, ორგანული წვევები და სხვა. აღსანიშნავია, რომ გამოფენის მონაწილე 6 კომპანია სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარია.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქ. ბაქოში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე „CASPIAN AGRO 2024“ 8 ქართულმა კომპანიამ დამთავალიერებელს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნო.

ბაქოში გამართულ გამოფენას სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ზურაბ პატარაძე ესწრებოდნენ.

როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორმა დავით წითლიძემ აღნიშნა, საერთაშორისო გამოფენებზე ქართული პროდუქციის წარდგენა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტს.

„მოგვხსენებთ, აზერბაიჯანი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მზარდია. რაც შეეხება გამოფენებში მონაწილეობას, ის მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროდუქციის ცნობადობის ამაღლებას და საქმიანი კონტაქტების დამყარებას“, - განაცხადა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ პატარაძემ.

გამოფენას „CASPIAN AGRO“ ყოველწლიურად 15,000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. მიმდინარე წელს, გამოფენაში მონაწილეობას 25 ქვეყანა და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 500-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იღებდა.



კომპანიის „სადილი“ საწარმო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2016 წლიდან საქმიანობს. საწარმო სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

„სადილი“ 20-მდე დასახელების კონსერვირებულ პროდუქტს აწარმოებს. საწარმოში 30 ადამიანი დასაქმებული. პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ქსელურ მარკეტშია წარმოდგენილი, ასევე გადის ექსპორტზე.



„ჩვენი კომპანია უკვე მეორედ იღებს მონაწილეობას ბაქოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში. პირველი გამოფენის შემდეგ 60,000 ქილა კონსერვი მივანოდეთ აზერბაიჯანელ მომხმარებელს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა გამოფენებში მონაწილეობის კუთხით“, - აღნიშნავს კომპანიის „სადილი“ დირექტორი პაატა აროშიძე



Georgian Walnuts


„ანიგოზი“ სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი კაკლის გადამამუშავებელი საწარმოა, რომელიც 2021 წლიდან ოპერირებს საქართველოში.

კომპანია ქართული კაკლისა და ნუშის რეალიზაციას ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

„აზერბაიჯანში გამოფენაში მეორედ ვიღებთ მონაწილეობას. შარშან ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი მონაწილეობა, ხელშეკრულებებს მოვანერეთ ხელი ადგილობრივ ქსელთან და დავინყეით მუშაობა. შევასრულეთ ორი მიწოდება, ქართული კაკლისა და ნუშის. იმედი გვაქვს, რომ წელსაც დავამყარებთ ახალ კონტაქტებს, გვაქვს მოლაპარაკება რამდენიმე ქსელთან. საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა არის დიდი დახმარება და მხარდაჭერა ჩვენთვის; ეს არის დიდი შესაძლებლობა“, - აღნიშნავს ანა ქვეციშვილი შპს „ანიგოზის“ დამფუძნებელი







გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოუწოდებს მოსახლეობას, დაიცვან ტყეში უსაფრთხოების წესები და დაემორჩილონ იმ აკრძალვებს, რომელიც ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების მოწყობისას და კოცონის დანთებისას ვრცელდება.

სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ადამიანთა დაუდევრობაა, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

ხანძარსაშიუი უბნებსა და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განსაკუთრებით დატვირთულია ტურისტულ სეზონზე, ეროვნული სატყეო სააგენტო ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საინფორმაციო-გამაფრთხილებელ ნიშნებს ათავსებს.

**სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ცეცხლის დანთება აკრძალულია ხეების ვარჯის ქვეშ, წიწვიან მოზარდ ტყეში, ძველ ნახანძრალეში, ტყის დაზიანებულ უბნებში (ტყის ქარქვეულ ან ქარტეხილ ადგილებში), დამზადების ნარჩენებიდან გაუნმენდავ ტყეკაფებში, გამოუზიდავად დატოვებული დამზადებული მერქნის ადგილებში, ტორფიან და გამხმარბალახიან ადგილებში.**

**ტყის ფონდის დანარჩენ ტერიტორიაზე კოცონის დანთება დასაშვებია ცეცხლის დასანთები ადგილის (ბაქანი) წინასწარი მოწყობის შემთხვევებში. ბაქნის წინასწარი მოწყობა გულისხმობს ცეცხლის კერიდან 1,5 მ რადიუსში ადვილად აალებადი მასალებისაგან (თივა, ხმელი ბალახი, ფოთლები, ფიჩხი) განმენდას.**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე, აგრეთვე, ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად - გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500-ლარამდე. ტყეში დაუდევრობით გამოწვეული ხანძრის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან- რვა წლამდე.

**2024 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, აფლატოქსინით დაბინძურებული ცხოველის საკვების გამოყენება იკრძალება**



ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და, ამავდროულად, ევროკავშირთან დაახლოების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 29 თებერვალს მიიღო #59 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების

შემცველობის დამტკიცების შესახებ, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდება. ფერმერებისა და ცხოველის საკვების მწარმოებლების სათანადო ინფორმირებისა და მომზადების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარებმა საინფორმაციო შეხვედრები მთელი საქართველოს მასშტაბით გამართეს.

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ცხოველის საკვებში აფლატოქსინის შემცველობა დასაშვებ ნორმას არ უნდა აღემატებოდეს. თუ ცხოველის საკვებში აფლატოქსინი B1-ის შემცველობა აღემატება დასაშვებ რაოდენობას, ცხოველთა საკვებად მისი გამოყენება იკრძალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება და აღიკვეთება აღნიშნული პროდუქტის ბაზარზე განთავსება.

დადგენილება ავალდებულებს ყველა ფერმერს, დაიცვას ცხოველის საკვების შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები, რათა არ მოხდეს საკვების აფლატოქსინით დაბინძურება.

**- რა არის აფლატოქსინი და როგორ ხდება ცხოველის საკვების აფლატოქსინით დაბინძურება**

აფლატოქსინი წარმოიქმნება ობის სოკოებიდან, რომლებიც ვითარდება მცენარეული ნედლეულის მომწიფებისას, მოსავლის აღების, არახელსაყრელი მეთეოროლოგიური პირობების, საკვების არასწორი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს. ობის სოკოებით დაბინძურებული ცხოველის საკვები იცვლის ფერს, სუნს, გემოს, რაც საშუალებას

იძლევა, ადრეულ ეტაპზე იქნეს დადგენილი მათი არაკეთილსაიმედოობა.

**- როგორ ხდება აფლატოქსინი ადამიანის ორგანიზმში**

აფლატოქსინით დაბინძურებული საკვების მიღებით, აფლატოქსინი ხდება ცხოველის ორგანიზმში და გადადის რძეში, გარდაიქმნება ტოქსინად და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

**- რატომ გახდა აუცილებელი აღნიშნული დადგენილების ამოქმედება**

მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, ატარებს მონიტორინგს; იღებს სურსათის ნიმუშებს სხვადასხვა მაჩვენებლებზე, მათ შორის, აფლატოქსინის შემცველობაზე გამოსაკვევად. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, ლაბორატორიული კვლევის შედეგად, აფლატოქსინი გამოვლინდა რძის 9 ნიმუშში, 2023 წელს კი 14 ნიმუშში; აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში რეგულაციის დაჩქარებულად მომზადებისა და ამოქმედების აუცილებლობა დადგა.

**საქართველოდან აზარბაიჯანში ცხვრის ექსპორტი აპიურ ფაზაში მაისის ბოლოდან შევიდა**



ქვეყანაში წვრილფეხა პირუტყვის ჭირის გავრცელების საფრთხე აღარ არსებობს, შესაბამისად, აზერბაიჯანის მხრიდან ცხვრის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები მოხსნილია

მიმდინარე წელს, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის ლაბორატორიულად დადასტურებისთანავე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოპერატიულად გაატარა დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც გულისხმობს ცხოველთა გადაადგილებაზე ზედამხედველობის გაძლიერებას, ვაქცინაციას, დეზინფექციას და სხვა შესაბამის აქტივობებს.

სააგენტომ ინფორმაცია დროულად მიანოდა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას. დაავადებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) სააგენტოს უსასყიდლოდ გადასცა 1 მლნ დოზა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა და დამხმარე აღჭურვილობა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მუდმივ კომუნიკაციაშია ფერმერებთან, მეცხვარეთა ასოციაციასთან და ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, გასცემს რეკომენდაციებს ფერმებში ბიოსაფრთხოების ზომების, ცხოველის სადგომის სანიტარიულ-ჰიგი-

ენური ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე და ინფექციური და პარაზიტული დაავადებების საწინააღმდეგოდ გასატარებულ პრევენციულ ღონისძიებებზე, რაც ეხმარება ფერმერებს, თავიდან აირიდონ ცხოველების დაავადებითა და სიკვდილიანობით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი. აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WOAH). ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციებით ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

**თელავის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებულ, კერძო საკუთრებაში მოქცეულ ექვსი მიწის ნაკვეთს ქარსაფარი ზოლის სტატუსი მიენიჭება**



ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამას მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო 2021 წლიდან ახორციელებს.

ინვენტარიზებულ ფართობებზე საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ინვენტარიზაციის შედეგად კერძო საკუთრებაში მოქცეული ყოფილი ქარსაფარი ზოლების ტერიტორიები

გამოვლინდა. თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნაფარულში, სააგენტოსთან თანამშრომლობის და მოლაპარაკებების ფორმატში, 6 ერთეული მიწის ნაკვეთის შესაკუთრის თანხმობით, მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს მიენიჭება ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსი

და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდება.

**ქარსაფარი ზოლის სისტემის განვითარება სახელმწიფომ პრიორიტეტად გამოაცხადა, რაც მათ აღდგენა/გაშენებას გულისხმობს. აღნიშნული პროცესი შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქარსაფარი ზოლის სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც ჩატარებულია ინვენტარიზაცია. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქარსაფარებისთვის სტატუსის მინიჭებაზე კერძო შესაკუთრებთან თანამშრომლობა.**

2021-2023 წლებში შვიდ მუნიციპალიტეტში ინვენტარიზებულია 3990.67 ჰექტარი ქარსაფარი ზოლი. ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის და კერძო საკუთრებაში მოქცეული ქარსაფარი ზოლების შესაკუთრებთან შეთანხმების პროცესი გრძელდება.





# გამონაბოლქვის დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობაზე, 9 თვეში, 5738 სამართალდარღვევა გამოვლინდა



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ტარიელ ირემაძე: „ვეგემავთ ეკიპაჟების დამატებას, რათა დეპარტამენტმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის უფრო ეფექტიანი კონტროლი განახორციელოს“



ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა და ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კი, ჰაერის დამაბინძურებლების - გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის შემადგენლობის კონტროლია, რასაც დეპარტამენტის თანამშრომლები, 2023 წლის 4 სექტემბრიდან, საქართველოს 4 დიდ ქალაქში - თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში ახორციელებენ. შესაბამისი კანონის ამოქმედებიდან მიმდინარე წლის 4 ივნისის ჩათვლით 5738 საჯარიმო ქვითარია დაწერილი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ტარიელ ირემაძესაცხადებს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით უმნიშვნელოვანესია და შესაბამისად, დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში, ეკიპაჟების რაოდენობის გაზრდას გეგმავს:

**- ბატონო ტარიელ, თავის დროზე ითქვა, რომ გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის შემადგენლობის კონტროლის დაწყება მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. შესაბამისი კანონის ამოქმედებიდან 9 თვის შემდეგ უკვე შეგვიძლია გარკვეულ დადებით**

### შედეგზე ვისაუბროთ?

- დიას, საქართველოს 4 მსხვილ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის შემადგენლობის კონტროლის დაწყების მთავარი მიზანი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაა. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ვეროკავშირის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაც იყო. მითუმეტეს, რომ წლების განმავლობაში, ჰაერის ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელი აღნიშნულ 4 მსხვილ ქალაქში მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც იყო. ამაზე საუბრობდნენ დარგის სპეციალისტებიც, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც და ზოგადად, მოსახლეობაც, რომლის დაკვეთაც იყო მსგავსი კონტროლის მექანიზმების შექმნა. რაც შეეხება შედეგს, უკვე შეგვიძლია კანონის ეფექტიანობაზე ვისაუბროთ და ამის საფუძველი მხოლოდ ჩვენი დაკვირვება კი არა, მოქალაქეების პოზიტიური გამოხმაურებებიცაა - დღეს ბევრი აღიარებს, რომ თუ კანონის ამოქმედებამდე აღნიშნულ 4 ქალაქში და მათ ცენტრალურ უბნებშიც კი ხშირად ვხვდებოდით ისეთ ავტომობილებს, რომლებსაც ვიზუალურად ეცხობოდათ, რომ პრობლემას უქმნიდნენ გარემოს, დღეს მსგავსი შემთხვევები იშვიათია. ამასთან, მოქალაქეები, რომლებიც დაჯარიმდნენ, მაქსიმალურად ცდილობენ პრობლემა მოაგვარონ, მითუმეტეს, რომ ეს ფინანსურადაც უფრო ნაკლები უკდებათ, ვიდრე ჯარიმები ან ავტომანქანის გაუმართაობით გამოწვეული სხვა პრობლემების მოგვარება.

### - თქვენი აზრით, ჯარიმები საკმაოდ მაღალია?

- დიას, ჯარიმები საკმაოდ მაღალია, მითუმეტეს, სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ფიზიკური პირის შემთხვევაში, ჯარიმის

ოდენობა პირველ ჯერზე 100 ლარია, მეორე ჯერზე - 300 ლარი, მესამე ჯერზე - 600 ლარი. იურიდიული პირის შემთხვევაში კი, ჯარიმა 500, 1500 და 3000 ლარია. ჯარიმის გადახდის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს, შესაბამისი ჯარიმის ოდენობის საურავი დაეკისრება. თუ პირი ჯარიმასა და საურავს, საურავის დარიცხვიდან 30 დღის განმავლობაში მაინც არ გადაიხდის, მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მსგავსი შემთხვევა იშვიათია და როგორც მოგახსენეთ, დაჯარიმებული მოქალაქეები პრობლემის გადაჭრას ცდილობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯარიმის გადახდისას საშუალოდ პერიოდულ მოქმედებს - იმ სამართალდამრღვევს, ვინც ჯარიმას დაჯარიმების შესახებ დადგენილების/ქვითრის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადაიხდის, ჯარიმის ოდენობა 20%-ით უმცირდება. ჯარიმის ამ ვადაში გადახდის შემთხვევაში, პირი კარგავს აღნიშნული შეღავათით სარგებლობის უფლებას.

### - ამბობთ, რომ შესაბამისი კანონთან დაკავშირებით მოსახლეობას დადებითი გამოხმაურება აქვს. ასეთივე ადეკვატური რეაქციები აქვთ მძღოლებს, როცა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები მათ აჩერებენ და დაუმორჩილებლობის შემთხვევები რამდენად ხშირია?

- უმეტესად რეაქციები ადეკვატურია. ჩემი აზრით ამის მიზეზი ისიც არის, რომ კანონის ამოქმედებამდე ძალიან აქტიური საინფორმაციო კამპანია ვაწარმოეთ და მოსახლეობას მაქსიმალურად მივანოდე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ კანონის ამოქმედება და ეფექტური აღსრულება, ძალიან მნიშვნელოვანია გარემოს და ზოგადად, თითოეული ადამიანის, მომავალი თაობის ჯანმრთელობისთვის. ამას ისიც ემატება, რომ ჯარიმის ოდენობის სანქციები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის გამონაბოლქვის შემადგენლობის შემოწმებაზე ან თავს აარიდებს ამ პროცესს. გარდა ამისა, მოქალაქეებმა იციან ისიც, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეჭვს შეიტანენ დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებში, უფლება აქვთ, შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენიდან 2 საათის განმავლობაში, სათანადო სატრანსპორტო საშუალებას, აკრედიტებულ ინსპექტორების ცენტრში ჩაუტარონ ინსპექტირება. „ალტერნატიული“ ინსპექტირების ჩატარებას თავისი ხარჯით უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალების მძღოლი, მფლობელი ან/მესაკუთრე. თუ ამ ინსპექტირების დროს დადგინდა, რომ გამონაბოლქვი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას შეესაბამება, პირი გათავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

### - რა ნივთიერებებზე ხდება შემოწმება და დეპარტამენტის თანამშრომლები მხოლოდ ხილული გამონაბოლქვის

### შემთხვევაში აჩერებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებას?

- დეპარტამენტმა ჯერ კიდევ კანონის ამოქმედებამდე შეიძინა სპეციალური, ე.წ. ეკომეგობრული ავტომობილები, რომლებშიც ჩამონტაჟებულია გერმანული ხელსაწყოები - გამზომი აპარატურა. ამ ეტაპზე საქართველოს 4 ქალაქში, 10 ეკიპაჟი მოძრაობს. აქედან 5 თბილისში, 2-2 ქუთაისსა და ბათუმში, 1 კი - რუსთავში. ეკიპაჟის წევრებს, რომლებმაც კანონის ამოქმედებამდე სპეციალური გადაზიდვა გაიარეს, უფლება აქვთ, გზებზე პატრულირებისას, თუკი შეამჩნევენ ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან ხილულ გამონაბოლქვს, გააჩერონ, გაზომონ გამონაბოლქვის შემადგენლობა, დაადგინონ, რამდენად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და გაატარონ კანონით გათვალისწინებული ზომები. ამ ეტაპზე, უმეტესად ხდება იმის შემოწმება, გამონაბოლქვის შემადგენლობაში არსებული ნახშირჟანგი (CO) შეესაბამება თუ არა დადგენილ ნორმებს. დეპარტამენტის თანამშრომლები ამომწებენ როგორც ბენზინისა და დიზელის ძრავის მქონე, ასევე აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებს.

### - როგორია სტატისტიკა კანონის ამოქმედებიდან 9 თვის თავზე?

- კანონის ამოქმედებიდან, ანუ 2023 წლის 4 სექტემბრიდან 2024 წლის 4 ივნისის ჩათვლით, დეპარტამენტის მოძრავი ეკიპაჟების მიერ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ჯამში 5738 იურიდიული და ფიზიკური პირი დაჯარიმდა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყველაზე მეტი - 2742 ჯარიმა დაწერეს თბილისში მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების/მფლობელების სახელზე; 1147 სამართალდარღვევა დაფიქსირდა ქუთაისში, 982 - ბათუმში, 867 კი - ქალაქ რუსთავში. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაჯარიმებული 5738 სამართალდამრღვევიდან, 5006 - ფიზიკური პირია, ხოლო 732 - იურიდიული პირი. აღსანიშნავია ისიც, რომ 3542 საჯარიმო ქვითარი მსუბუქი ავტომობილების მძღოლების მიმართ არის შედგენილი, 1944 - მიკროავტობუსის, 245 - სატვირთო ავტომობილის, 7 კი, ავტობუსის მძღოლის სახელზე.

### - იმ ფონზე, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის დაჯარიმებულ პირთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია, ხომ არ აპირებს დეპარტამენტი ეკიპაჟების დამატებას ან დამატებითი აღჭურვილობის შექმნას?

- დიას, უახლოეს მომავალში ვეგემავთ 5 ეკიპაჟის დამატებას. გავზრდით ავტომობილების რაოდენობას და ახალ კადრებსაც გადავამზადებთ. ეკიპაჟები რა თქმა უნდა აღჭურვილი იქნება ყველა საჭირო ხელსაწყოთი და აპარატურით, რომლებიც უკვე აპრობირებულია და ამ 9 თვის განმავლობაში კარგად დაიტესტა.

### - არის მოსალოდნელი, რომ მომავალში კონტროლი საქართველოს სხვა ქალაქებშიც განხორციელდეს?

- მოქმედი კანონის თანახმად, ხილულ გამონაბოლქვზე კონტროლი ხორციელდება მხოლოდ 4 მსხვილ ქალაქში. ამ ეტაპზე ქალაქების რაოდენობის ზრდაზე მსჯელობა არ მიმდინარეობს, თუმცა გამორიცხული არ არის, სამომავლოდ, შედეგებმა რეგულირების სხვა ქალაქებში დამატების აუცილებლობა დაგვანახოს. მითუმეტეს, რომ როგორც უკვე მოგახსენეთ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, უმნიშვნელოვანესია.





# შხამიანი სარეველა მცენარეები

შხამიანი სარეველა მცენარეები წარმოქმნიან ტოქსიკურ ნივთიერებებს (ფიტოტოქსინებს), რომელთა მცირე რაოდენობა იწვევს ადამიანისა და ცხოველების მოწამვლას ან სიკვდილს. ტოქსიკური ნივთიერებები სარეველებისთვის წარმოადგენენ თავდაცვის საშუალებას, მათ მიეკუთვნება: ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთები და სხვა, ისინი განაპირობებენ შხამიანი სარეველების არასასამოვზო სუნსა და მწარე გემოს. მცენარეული ტოქსინები კონცენტრირდება როგორც მთლიანად მცენარეში, ასევე მის ცალკეულ ორგანოში. ფიტოტოქსინები ხასიათდება კუმულაციური თვისებებით, ისინი ნელ-ნელა, თანდათანობით გროვდება ცხოველის ორგანიზმში, შემდეგ კი იწვევენ პირუტყვის სიკვდილს. შხამიანი სარეველებით კვებისას რძეს და მის პროდუქტებს ეძლევათ არასასამოვზო სუნი და გემო, მაგალითად, რძეს მწარე გემოს აძლევს გვირილა, მუანათი კვების შედეგად იგი ცუდად იდღვება, ისლით კვებისას კი, რძე წყალწყალა ხდება. ზოგიერთი სარეველა მცენარის ნაყოფის თვისებაა ჩაეხვიოს მატყლში, ასეთი მატყლის სასაქონლო ღირებულება მცირდება. ვაცინვერას თესლები ცხვრის ჩლიქებში წარმოშობს ქრილობა - ნაპრალებს, რაც იწვევს დაკოჭლებას და სახსრების ანთებას. ხშირად მეფუტკრეები მოწმენი ხდებიან ფუტკრების მასიური დაღუპვისა ისეთი შხამიანი მცენარეების ნექტრით, როგორიცაა ბაია, შხამა და სხვ.

**ლენსოფა - HYOSCYAMUS NICER L.**



ორწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძალ-  
ლყურძენასებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკალოი-  
დებს; ფესვი მთავარღერძა, ვერტიკალური 2-3 სმ  
სისქის; ღერო სწორმდგომი, 20-115 სმ; ფოთლები  
მორიგეობით განლაგებული, მოკმო კვერცხისებრი  
ან ელიფსური, ფრთისებრდნაკვეთილი; ყვავილები  
მკდომარე, ჭუჭყიანი მოყვითალო, იშვიათად თეთრი,  
შუაში მენამული - იასამნისფერი, ყვავილობს ივნის -  
ივლისში. ლენსოფათიმონამზღვის შემთხვევაში სიმპ-  
ტომები ცოფით დაავადებების მსგავსია. ლენსოფით  
მოწამვლა ზოგჯერ სიკვდილით მთავრდება.

**ლენა - DATURA STRAMONIUM L.**



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა  
ძალყურძენასებრთა ოჯახიდან; ფესვი მთავარ-  
ღერძა, დატოვილი ძლიერი; ღერო 1.5 მ სიმაღლის;  
ფოთლები მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებრი,  
კიდდაკბილული, წვეროში წანვეტებული, ზედა  
მხრიდან მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო;  
ყვავილები ერთეული, კენწრული ან ფოთლის უბესთან  
განვითარებული, თეთრი, დიდი ზომის, არასასამოვზო  
სუნით, ყვავილობს ივლის - აგვისტოში.

ლემას „ანგელოზის საყვირსაც“ უწოდებენ, იგი დიდი  
რაოდენობით შეიცავს ალკალოიდ პიოსციმინს  
(ფოთლოში 0,28%, თესლში 0,33-,-0,48,7%), აგრე-  
თვე სკოპოლამინს და ატროპინს, მეცნიერებმა  
დაამტკიცეს, რომ ის საკმაოდ სახიფათო მცენარეა,  
არსებობს მისი ნაყენის დაღვრის შედეგად  
ადამიანთა დაღუპვის შემთხვევები.

**შხამა - VERATRUM LOBELIANUM BERNH.**



მრავალწლიანი, შხამიანი, ფესურიანი, ბალახოვანი,  
აბეზარი სარეველაა შროშანისებრთა ოჯახიდან;  
საქართველოში გვხვდება ყაზბეგის, ბორჯომ -  
ბაკურიანის, ბახმაროს, დუშეთის მდამოებში,

იშვიათად - ტყის სარტყელში. ფესურა მოკლე, სქელი;  
ღერო სქელი, მრავალფოთლიანი, 1-1,5 მ სიმაღლის;  
ფოთლები ელიფსური, მორიგეობით განლაგებული,  
ქვემოდან შებუსული; ყვავილედ პირამიდული  
საგველა, ყვავილი მოყვითალო ან მოთეთრო, ყვავი-  
ლობს ივნის - აგვისტოში.

შხამას ნექტარში არსებული ალკალოიდებით  
მოწამული ფუტკარი იღუპება, განსაკუთრებული  
ტოქსიკურობით ფესურა და ფესვები გამოირჩევა.  
ალკალოიდების გარდა ფესურა შეიცავს საღებავ და  
მთრიმლავ ნივთიერებებს, ამინომჟავებს, ფისებს,  
გუმფისს, ცხიმებს, სახამებელს, შაქრებს, მინერალურ  
მარილებს და სხვ.

**შხამა, ბელადონა - ATROPA CAUCASICA KREYER.**



მრავალწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი სარეველაა  
ძალყურძენასებრთა ოჯახიდან, მთლიანად შებუ-  
სულია, აქვს არასასამოვზო სუნი, შეიცავს ალკა-  
ლოიდებს; იზრდება ჩრდილიან და ტენიან ადგი-  
ლებში. ფესვი მთავარღერძა, ივითარებს ფესურას;  
ღერო სწორმდგომი დატოვილი, 60 სმ - დან 2  
მ-მდე; ფოთლები ფართო, ოვალური, წყვილად  
განლაგებული; ყვავილები მუქი იასამნისფერი,  
ზოგჯერ ყვითელი, ერთეული, ყვავილობს ივნის -  
ივლისში, ნაყოფი შხამიანია, რადგან შეიცავს  
მომაკვდინებელ ალკალოიდ ატროპინს, სამიზია  
მისი როგორც ფოთოლი, ასევე ყვავილი. ბელადონას  
მიღების შემდეგ ადამიანი შესაძლოა დაიღუპოს, ან  
მხედველობა დაუზიანდეს.

**თილჯირი, აკონიტივი - ACONITUM NAPELLUS L.**



მრავალწლიანი, ბალახოვანი შხამიანი სარეველაა  
ბაიასებრთა ოჯახიდან; ღერო სწორმდგომი, 60-150 სმ  
სიმაღლის; ფოთლები მორიგეობით განლაგებული,  
ფრთისებრდნაკვეთილი; ყვავილედ მტევანი, ცის-  
ფერი, იასამნისფერი, ყვითელი ან თეთრი, ყვავი-  
ლობს ივლისიდან - სექტემბრამდე. ძველ დროში, მის  
წვეწში ამოვლებულ ისრებს მგლების მოსაკლავად  
იყენებდნენ. ადამიანებში იწვევს პირღებინებას,  
ღიარებას და მგრძნობელობის დაკარგვას.

**საპონა - SAPONARIA OFFICINALIS L.**



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველა  
მცენარეა მიხაკისებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკა-  
ლოიდებს; ფესურა ძლიერ დატოვილი, მონი-  
თალო - ყავისფერი; ღერო სწორმდგომი, შიშველი  
ან ოდნავ შებუსული, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთ-  
ლები მოპირდაპირედ განლაგებული, მოგრძო ან  
ოვალური, ბოლოში წამახვილებული, შეუბუსავი,  
ზედა - მკდომარე, ქვედა - მოკლე ყუნწით; ყვავილები  
თეთრი ან მოვარდისფრო - თეთრი, შეკრული  
მტევნად, 5 სმ დიამეტრის, სასამოვზო სურნელით,  
ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე.

ფესურები ძლიერ შხამიანია, შეიცავს საპონინებს 35  
%-ს, მისი ფესურები წყალში გასრესისას ქაფდება  
საპონივით.

**სიკუტა - CICUTA VIROSA L.**



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა  
ქოლგოსანთა ოჯახიდან, განსაკუთრებით შხამიანია  
ფესურა; ფესურა ვერტიკალური, ხორციანი, თეთრი,  
მრავალი წვრილი ფესვით; ღერო დატოვილი,  
1-1,2 მ სიმაღლის; ფოთლები რთული, ორმაგად  
ფრთისებრდნაკვეთილი, კიდდაკბილული; ყვავი-  
ლები წვრილი, ყვითელი ან თეთრი, შეკრულია  
ქოლგა ყვავილედად, 10-15 სხივიანი, ყვავილობს  
ივლის - აგვისტოში. ციკუტას მრავალი გართულებისა  
და სიკვდილის გამოწვევა შეუძლია.

**ოჭოჭა - GLECHOMA HEDERACEA L.**



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა,  
შეიცავს ალკალოიდებს, დამახასიათებელია სპე-  
ციფიკური სუნი; ფესურა მხოხავი, წვრილი, მოკლე  
ფესვებით; ღერო მხოხავი, ოთხხანსაგვანი, ოდნავ  
შებუსული, 20-50 სმ სიმაღლის, მიწასთან შეხებისას

ფესვიანდება; ფოთლები მომრგვალო თირკმლისებრი,  
გრძელი ყუნწით, მოპირდაპირედ განლაგებული,  
გლუვი, ოდნავ შებუსული; ყვავილები მცირე ზომის,  
ორტუჩა, იასამნისფერი ან მოცისფრო იასამნისფერი,  
რამდენიმე ერთად (3-4) შეკრული ფოთლის უბესთან,  
ყვავილობს ზაფხულის პირველ ნახევარში.

**სელიჭა - LINARIA VULGARIS MILL.**



მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი მცენარეა  
მრავალძარღვასებრთა ოჯახიდან; ფესურა წვრილი,  
გრძელი; ღერო სწორმდგომი, მარტივი ან დატო-  
ვილი, შეფოთილი, 30-90 სმ სიმაღლის; ფოთლები  
ლანცეტისებრი ან ხაზურა - ლანცეტისებრი, ბოლო-  
წანვეტებული, შეუბუსავი, მკდომარე; ყვავილები  
შეკრული მტევნად, ყვითელი, 5-15 სმ სიგრძის, ყვავი-  
ლობს ზაფხულის განმავლობაში. სელიჭას ღერო და  
ფოთლები ალკალოიდ პეგანინს შეიცავს.

**ხრიალა - RHINANTHUS MINOR L.**



ერთწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი, ნახევრად  
პარაზიტი სარეველა მცენარეა კელაბტარასებრთა  
ოჯახიდან (სხვა მცენარეების ფესვიდან იღებს  
საკვებ ნივთიერებებს); ღერო მარტივი ან დატო-  
ვილი, 20-50 სმ სიმაღლის; ფოთლები მოპირ-  
დაპირედ განლაგებული, ლანცეტისებრი ან მოგრძო  
ლანცეტისებრი, ბოლოში შევიწროებული, კიდდა-  
კბილული, შეუბუსავი; ყვავილები შეკრული მტევნად  
კენწრული, ყვითელი, ყვავილობს ზაფხულის  
განმავლობაში; ისხამს კოლოფა ნაყოფს; თესლი  
ნაყოფის კედლებს სცილდება და თიბვის დროს  
ხრიალი გააქვს.

იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, ნათესებსა და  
რუდერალურ ადგილებში ალპურ სარტყლამდე.  
სახლდება მდელოს მარცვლოვნების ფესვებზე და  
აკნინებს მათ.

**ქალყურაქვა - SOLANUM NIGRUM L.**



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა  
ძალყურძენასებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკა-  
ლოიდებს; ფესვი ფუნჯა, ღერო სწორი, დატო-  
ვილი, 30-120 სმ სიმაღლის; ფოთლები მარტივი,  
მორიგეობით განლაგებული, ოვალურ - კვერც-  
ხისებრი, კიდდაკბილული; ყვავილები თეთრი,  
ვარსკვლავისებრი, შეკრული ნახევარქოლგად,  
ყვავილობს ივლისიდან - აგვისტომდე; ბალახი შეი-  
ცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, მწარე გლუკოზიდ  
დეკლამარინს და გლიკოალკალოიდ სოლანინს, ეს  
უკანასკნელი კენკრის მომწიფების მომენტისთვის  
სრულიად ქრება, ამიტომ მწიფე ნაყოფი საჭმელად  
ვარგისია, უმწიფარმა ნაყოფმა შეიძლება გამოიწვიოს  
მოწამვლა.





# თხილის დაავადებები

**თხილის ყავისფერი  
სიდამპლე -  
გამომწვევი  
სოკოვანი ორგანიზმი  
*Gloesporium coryli***



**სიმპტომები:** დაავადება ანთრაქნოზის სახელითაცაა ცნობილი. ავადდება თხილის ფოთლები, ყლორტები, ტოტები და ნაყოფები, რომლებზეც ყავისფერი ლაქები ვითარდება. ფოთლის კიდებს მონიტალო ფერი გადაკრავს. სოკოვანი ინფექცია ნაყოფში მისი ფორმირებისას აღწევს, სიმპტომები კი მოგვიანებით ჩნდება. დაავადებულ ნაყოფებზე მუქი ყავისფერი, დიდი ზომის ლაქები მოშავო ფერის არშიითაა შემოვლებული. დაავადებული ნაყოფი არ ვითარდება, ცვივა, გული ღებება, აქვს მწარე გემო და არასასიამოვნო სუნი.

**თხილის  
ნაცრისფერი  
სიდამპლე  
*Botrytis cinerea***



**სიმპტომები:** ავადდება ფოთლები, ყლორტები და ნაყოფები. დაავადებულ ორგანოებზე სხვადასხვა ფორმის და ზომის ლაქები წარმოიქმნება, რომლებიც მალაღი ტენიანობის დროს ნაცრისფერი ფიფქით იფარება. ნაყოფი ჩამოყალიბებისა და განვითარების სტადიებში ავადდება. დაავადების შედეგად გაჩენილი მოყავისფრო-მონაცრისფრო ლაქა ნაყოფის წვეროსკენ მიიწევს და ზოგჯერ მთლიანად ფარავს ჯერ კიდევ რბილ ნაყოფს. დაავადებამ შესაძლოა ნაყოფი მთლიანად დააღუპოს და ნაადრევი ცვენა გამოიწვიოს. ჭარბი ტენიანობის დროს, ნაყოფში კანცეროგენული ნივთიერება - ავლატოქსინი გროვდება.

**თხილის გულის  
ფუზარიოზული  
სიდამპლე  
*Fusarium  
moniliforme***



**სიმპტომები:** დაავადება თხილის ჩენჩოზე ვრცელდება, შემდეგ რბილ ნაჭუქს ავადებს და ნაყოფის გულში შედის. დაავადებული გული ყავისფერდება, მწარდება, ღებება და მოვარდისფრო-მონაცრისფრო ფხვნილისებრი ნაფიფქით იფარება. დაავადება ვრცელდება როგორც ვეგეტაციის დროს, ასევე შენახვის პირობებში. ღობისგან გამომწვეული მოსავლის დანაკარგები საკმაოდ მნიშვნელოვანია.

**თხილის  
მონილიოზი  
*Monilia follicola,  
Sclerotinia follicola***



**სიმპტომები:** ბოლო წლებში, დასავლეთ საქართველოში, გავრცელდა მანამდე უცნობი დაავადება, რომლის სიმპტომებიც ნაჭუქის დიაგნოზურად გასკდომაში გამოიხატება. ნაყოფის შიგთავსში თეთრი ფერის ფიფქისებრი მასა შეინიშნება; გული მთლიანად დამპალი და დეფორმირებულია.

**თხილის  
ვერტიცილიოზი  
*Verticillium dahlia,  
Verticillium lateritum***



**სიმპტომები:** თხილის ვერტიცილოზური ხმოზა ვლინდება ზაფხულში, როდესაც თხილის ნაყოფები მომწიფების ფაზაშია. ცალკეული ტოტი, ღერო ან მთლიანად ბუჩქი იწყებს ხმოზას; ფოთლები ყვითლდება და ნაადრევად ცვივა. ზოგჯერ მცენარე ფერმუცვლელად შეიძლება დაჭკნეს. თხილის ღეროებისა და ტოტების განივჭრილობე აღინიშნება დასკდომა, და მუქი ყავისფერი ლაქის წარმოქმნა. დაავადებული ნაყოფი შავ ფერს ღებულობს. მნივე ნაყოფის ნაჭუქის გატეხვისას დასკდომა და წებოვანი მასა აღინიშნება.

**თხილის ნაცარი  
*Phyllactinia  
quttata, Erysiphe  
corylacearum***



**სიმპტომები:** ნაცრით ავადდება ფოთლები, რომელთა ქვედა მხარეს მონაცრისფრო ნაფიფქი ჩნდება და ზედა მხარესაც ედება. ფოთოლი ყვითლდება, ინფექციის გვიან ფაზაში კი სოკოს პატარა, შავი ნაყოფსხეულებით იფარება და ცვივა. ნაცრის სიმპტომები, ქერისებური ფიფქის სახით, მცენარის ნაყოფზე შეინიშნება; ინტენსიურად ვითარდება ჩახშირებულ ამონაყარზე.

**თხილის  
ბაქტერიული  
სიდამწვრე  
*Xanthomonas  
arboricola pv.corylina***



**სიმპტომები:** ბაქტერიული სიდამწვრე ვითარდება მცენარის ფოთლებზე, ჩენჩოზე და ნაყოფის გარსზე, პატარა, ლაქისებრი დაზიანებების, აგრეთვე დაბერილი კვირტების დანეკროზების სახით. განვითარების გვიან სტადიებზე დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი წყლულები - მკვდარი ქსოვილის მზარდი მასა ტოტებზე და ძირითად ღეროებზე. ინტენსიური განვითარების შემთხვევაში ბაქტერიოზი ტოტების და ძირითადი ღეროების სრულ გახმობას იწვევს. ბაქტერიული სიდამწვრის სიმპტომები ადვილად ამოსაცნობია თხილის ჩენჩოზე, სადაც მცირე ზომის ყავისფერი ნეკროზული ლაქები ჩნდება; ეს ლაქები ზოგჯერ ერთიანდება და მთლიანი დამწვრობის შთაბეჭდილებას ტოვებს.







# საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მრავალფეროვანია. გაგაცნობთ საქართველოს ფლორისა და ფაუნის 4 წარმომადგენელს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვადასხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები.



**რუხი მემატლია**

რუხი მემატლია (ბუზიჭერია) (*Muscicapa striata*) საქართველოში მოხუდარი სახეობის, ბელურისნაირი, ფრინველია. ისინი ძირითადად მფრინავი მწერებით იკვებებიან და ჰაერში ნადირობენ. მათი ძირითადი საკვებია მწერები, ასევე იკვებებიან კენკრითაც.

რუხ მემატლიას მკვეთრი და წრიბინა ხმა აქვს. გალობენ ხმადაბლა, აშენებენ ჯამისებრ ბუდეს ხის, ან ბუჩქის ვარჯზე, ასევე კლდის და ნაგებობების ნაპრალებსა და ნიშებში. დებენ საშუალოდ 3-6 კვერცხს.



**შავთავა ხეცოცია**

შავთავა ხეცოცია (*Sitta krueperi*) ეს მცირე ზომის ფრინველი საბუდრად უპირატესობას წინვოვან ტყეებს ანიჭებს. შავთავა ხეცოციები წელიწადში ერთხელ წყვილდებიან და საშუალოდ 5-7 კვერცხს დებენ. კავკასიაში ისინი აპრილ-მაისში იწყებენ

კვერცხის დებას, ბარტყები საშუალოდ 14-17 დღის შემდეგ იჩეკებიან. გავრცელებულია აღმოსავლეთით - თურქეთსა და კავკასიაში, გვხვდება საქართველოშიც.

საქართველო ასევე მდიდარია მცენარეებით, რომლის გავრცელების თავისებურებასა და მრავალფეროვნებას განაპირობებს ეკოლოგიური პირობები, ჰავისა და რელიეფის ნაირგვარობა, გეოლოგიური აგებულება, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა. საქართველოში მრავლადაა როგორც ენდემური და რელიქტური, ასევე ადვენტური სახეობის ბუნებრივი და კულტურული მცენარე. საქართველოს მცენარეული საფარის 380-მდე სახეობა ენდემური წარმომადგენლისაა, ამასთან, ზოგიერთი მათგანი რელიქტურ მცენარეებსაც მიეკუთვნება. ამჯერად წარმოგიდგინთ *Juniperus oxycedrus* L. = *Juniperus rufescens* Link. - წითელი ღვიას.



**კვიპაროსისებრნი**

Cupressaceae - კვიპაროსისებრნი, ხე ან ბუჩქი. ღერო 4-10 მეტრი სიმაღლისაა, ხშირი ვარჯით, ქერქი ღია რუხი ფერისაა. წიწვები საზური ან ნემსისებურია, მჩხვლევადი ნემსით დაბოლოებული, ზემოდან 2 თეთრი ზოლითა და მურა ფერის შუა ძარღვით, ქვემოდან კი ვიწრო, მახვილი ქედით. მამრობითი

გირჩები და ნაყოფიც სფეროსებურია. იზრდება მშრალ ფერდობებზე, ბუჩქნარებში დაბლობიდან სუბალპურ სარტყლამდე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს კავკასიას, მცირე აზიას, სამხრეთ ევროპას, ჩრდილოეთ აფრიკას.



**მოლოზანა**

*Viburnum orientale* - ოჯახი Adoxaceae (ადოქსასებრნი) 2 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ნორჩი ყლორტები გაბნეული ბენჯითაა მოფენილი. ფოთლები ფართო-კვერცხისებურია ან კვერცხისებურად მომრგვალო ფორმის, ზედა ნაწილში 3-ნაკვთიანია, მსხვილად დაკბილული. ყვავილები შეკრებილია ფარისებურ ყვავილედად. ყველა ყვავილი ერთნაირია,

ორსქესიანი. გვირგვინი მოკლე-ზარისებურია, თეთრი ფერის. ნაყოფი ელიფსურია, წითელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლების ტყეებში. გავრცელებულია, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში. გავრცელების საერთო არეალი მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიას.

